### თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 4
31/01/2020

4-09-4-202001311918

**„თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2020 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ $106^{1}$ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2020 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2020 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2020 წლის 20 თებერვლამდე.
4. „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებული 2020 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2020 წლის 1 მარტამდე.
5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის

რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

**არჩილ თხლაშიძე**

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**